

# სამართალი

ISSN 0868-4537

2001

№ 12



## მეცნიერება

## კულტურისტიკა

## პრაქტიკა

სამართალი, თბილისი





## EWIV - ევროპის ახალი ტიპის იურიდიული პირი

1) ევროპის ეკონომიკური ინტერესების გაერთიანების (EWIV) წარმოშობა და მისი მიზანი. ევროპის საკორპორაციო სამართლის ჰარმონიზების და, შესაბამისად, ევროკავშირის ქვეყნების იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობათა გამარტივების მიზნით 1985 წლის 25 ივლისის დადგენილებით ევროპის საბჭოს მიერ შემოღებულ იქნა ახალი ფორმა - ევროპის ეკონომიკური ინტერესების გაერთიანება (EWIV - Europäische Wirtschaftliche Interessenvereinigung). აღნიშნული დადგენილება მისი გამოქვეყნებიდან სამი დღის შემდეგ შევიდა ძალაში<sup>1</sup>. თავდაპირველად იგი მოქმედებდა ევროკავშირის ათი სახელმწიფოსათვის. 1986 წლის 1 იანვრიდან გაერთიანებაში ესპანეთისა და პორტუგალიის მიღების შემდეგ დადგენილება ამ უკანასკნელთათვისაც შევიდა ძალაში. მას გააჩნია უშუალოდ მოქმედი სამართლის წყაროს ფუნქცია. ამიტომაც ევროკავშირის წევრი ყოველი სახელმწიფო ვალდებულია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში შეიტანოს ისეთი ცვლილებები, რომლებიც საშუალებას მისცემს აღნიშნულ გაერთიანებებს რეგისტრაციაში გატარდნენ შესაბამისი ქვეყნის სამეწარმეო რეესტრში. გერმანიაში, მაგალითად, ასეთი რეგისტრაციის წესსა და პირობებს განსაზღვრავს „ევროპის ეკონომიკური ინტერესების გაერთიანების დადგენილების ამოქმედების შესახებ“ 1988 წლის 14 აპრილის კანონი (შემოკლებით - EWIV-Ausführungsgesetz).

EWIV-ის წარმოშობას ხელი შეუწყო საფრანგეთში ჯერ კიდევ 1967 წლიდან მოქმედმა კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივმა ფორმამ - „Groupement d'int'e'ret e'conomique“<sup>2</sup>. მის ავტორთა სურვილი იყო შექმნილიყო უფრო მოხერხებული და ლიბერალური მოდელი ეკონომიკური კოოპერაციული გაერთიანებისა. ეს ფორმა იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა, რომ 1985 წელს ევროკავშირმა თავისი დადგენილებით ჩამოაყალიბა მსგავსი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ევროკავშირის მასშტაბით. მისი ძირითადი მიზანი უნდა ყოფილიყო ინტერესების გაერთიანებაში შემავალი თავისუფალი პროფესიის პირებისა და საწარმოების საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის გამარტივება<sup>3</sup>, მაგრამ თავად ორგანიზაციის არ

უნდა ჰქონოდა საკუთარი საწარმოები და იგი შეზღუდული უნდა ყოფილიყო კოოპერაციული მიზნებით<sup>4</sup>. ამასთან, მისი ძირითადი მიზანი არ უნდა ყოფილიყო მოგების მიღება. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ EWIV-ს ეკრძალება მოგების მიღებაზე ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობა. მაგრამ, როგორც კ. გლაიხმანი აღნიშნავს, მისი შექმნის ძირითადი მიზანი მოგების მიღება არ უნდა იყოს<sup>5</sup>. EWIV არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სამართლებრივ ფორმას ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის. იმავდროულად მას სჭირდება დაარსება, შემდგომ რეგისტრაციის მონაცემების გამოქვეყნება და მის წევრთა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის განსაზღვრა.

2) EWIV როგორც მოქმედი სამართალი. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, EWIV-ის საქმიანობის წესსა და პირობებს არეგულირებს ევროპის ეკონომიკური საბჭოს 1985 წლის 25 ივლისის დადგენილება ევროკავშირის ტერიტორიაზე ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის - ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნის შესახებ. აღნიშნული დადგენილება (Die Verordnung) ასრულებს უშუალოდ მოქმედი სამართლის როლს ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოებისათვის<sup>6</sup>. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მისი საქმიანობის დეტალებს არეგულირებს იმ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი, რომლის ტერიტორიაზეცაა განლაგებული EWIV-ის ადმინისტრაცია. გერმანიის EWIV-Ausführungsgesetz-ის §1-ის მიხედვით, ეს ფორმა ექვემდებარება გერმანიის სავაჭრო კოდექსის (HGB) და სხვა კანონების იმ მუხლების მოქმედებას რომლებიც არეგულირებენ ღია სავაჭრო საზოგადოებას (offene Handelsgesellschaft - oHG).

ამდენად, EWIV თავისი სამართლებრივი ბუნებით ძალიან ჰგავს გერმანულ ღია სავაჭრო საზოგადოებას. შესაბამისად, ქართულ საკორპორაციო სამართალში მას დაახლოებით შეიძლება სოლიდარული პასუხისმგებობის საზოგადოება (სპს) შევესაბამოთ.

3) EWIV-ის დაარსება. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-4 მუხლის მიხედვით, EWIV წევრები შეიძლება იყვნენ: - სავაჭრო საზოგადოებები, კოოპერატივები და სამო-

1 Amtsblatt der Europäischen Gemeinschaften vom 31.7.1985, Nr. L 199, S.1.

2 Hans J. Schlüter. Das Groupement d'int'e'ret e'conomique. Diss., Köln, 1973; Wüllrich. Das „Groupement d'int'e'ret e'conomique“: Ein deutsch-französisches Kooperationsmodell auf dem Wege zur europäischen Integration im Gesellschaftsrecht? Diss., Bonn, 1973.

3 Herbert Wagner. Unternehmensrecht., Weinheim, 1997, S.90.

4 Adolf Baumbach. Klaus J. Hopt. Handelsgesetzbuch mit Nebengesetzen ohne Seerecht, 29. Aufl., 1995, §160, S.5.

5 Karl Gleichmann. Europäische Wirtschaftliche Interessenvereinigung. ZHR 149, 1985, S. 633-645.

6 Karl Gleichmann. Europäische Wirtschaftliche Interessenvereinigung. ZHR 149, 1985, S. 648.



ქლაქო სამართლით განსაზღვრული სხვა საზოგადოებები, აგრეთვე სხვა საჯარო და კერძო სამართლის გაერთიანებები, რომლებიც დაარსებულნი არიან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და მათი წესდებით ან კანონით განსაზღვრული ადგილსამყოფელი ანდა ცენტრალური ადმინისტრაცია ევროკავშირის ტერიტორიაზე განლაგებული.

- ის ფიზიკური პირები, რომლებიც ევროკავშირის ტერიტორიაზე ახორციელებენ სამეწარმეო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო ანდა თავისუფალ პროფესიულ საქმიანობას.

თავისუფალ პროფესიულ კოოპერაციებში, განსაკუთრებით საერთაშორისო რანგის საადვოკატო კოოპერაციებში, შეიძლება გაწევრიანდნენ არა მარტო ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნის ადვოკატები, არამედ მათი გაერთიანებებიც.<sup>7</sup> მაგალითად, ბრემენელ ადვოკატს და მიუნხენის საადვოკატო ბიუროს შეუძლიათ პარიზელ ადვოკატთან და ბრიუსელის საადვოკატო ბიუროსთან ერთად EWIV-ის ჩამოყალიბება.

EWIV-ში შემავალ წევრთა რაოდენობა მინიმუმ 2 მაინც უნდა იყოს (დადგენილების მე-4 მუხლის მე-2 ნაწილი). ამასთან, მასში შემავალ ორგანიზაციებს, თავის მხრივ, არ უნდა ჰყავდეთ 20-ზე მეტი წევრი (თუ ზემოთ მოყვანილ მაგალითს ავიღებთ, მიუნხენის ან ბრიუსელის საადვოკატო ბიუროს არ უნდა ჰყავდეს 20-ზე მეტი ადვოკატი).

მნიშვნელოვანია აგრეთვე ის ფაქტი, რომ EWIV წევრები აუცილებლად ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებს უნდა მიეკუთვნებოდნენ. არ დაიშვება ისეთი ფიზიკური ან იურიდიული პირების EWIV-ში გაწევრიანება, რომლებიც გარეშე სახელმწიფოს მიეკუთვნებიან. წევრთა რიცხვი ზუსტად განსაზღვრული არ არის, მაგრამ წევრ-სახემწიფოებს უფლება აქვთ, თავიანთი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, მათი რიცხვი გარკვეულწილად შეზღუდონ (მაგალითად, 20 წევრამდე)<sup>8</sup>. გარდა ამისა, მათ უფლება აქვთ გამორიცხონ EWIV-ში გარკვეულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა მონაწილეობა. მაგრამ აღნიშნული შეზღუდვის თუ აკრძალვის შესახებ ისინი ვალდებული არიან შეატყობინონ ევროკავშირის კომისიას, რომელიც, თავის მხრივ, საქმის კურსში აყენებს სხვა წევრ სახელმწიფოებს (დადგენილების 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი). აღნიშნული დათქმის მთავარი მიზეზი იყო დიდი ბრიტანეთის მოთხოვნა, რომელიც განსაკუთრებული ტიპის შემნახველ კავშირებს (Sparvereine) ეხებოდა და მათ ლოკალური ხასიათი ჰქონდათ.

EWIV-ის სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში სავალდებულოა შემდეგი მონაცემების შეტანა:

- გაერთიანების სახელწოდება მისი სამართლებრივი ფორმის დართვით - „Europäische Wirtschaftliche Interessenvereinigung“ ან მისი შემოკლება - „EWIV“;
- გაერთიანების ადგილსამყოფელი;
- საწარმოს საქმიანობის სახე;
- მონაცემები წევრთა შესახებ;
- მონაცემები საწარმოს საქმიანობის ხანგრძლივობის ვადის შესახებ - თუ გაერთიანება განუსაზღვრელი ვადით არ არის შექმნილი.

რეგისტრაციის მონაცემების გამოქვეყნება ევალბა იმ სახელმწიფოს სამეწარმეო რეესტრს, რომლის ტერიტორიაზეცაა გაერთიანების ადგილსამყოფელი (მუხ.ნ). როგორც წესი, ევროკავშირის ქვეყნები აღნიშნულ საკითხს თავიან-

თი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით არეგულირებენ.

მას შემდეგ, რაც EWIV გაივლის შესაბამის რეგისტრაციას ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის სამეწარმეო რეესტრში, ამ მომენტიდან ის ხდება გარკვეული უფლებებისა და ვალდებულებების მატარებელი. მას უფლება ენიჭება დადოს ხელშეკრულებები და სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ თუ მოპასუხედ<sup>9</sup>.

4) EWIV-ის ორგანიზაციული სტრუქტურა. EWIV-ის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება. ის იღებს ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. წევრთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილებათა მიღების დეტალურ წესებს დადგენილება არ განსაზღვრავს - იგი იძლევა თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა თავისუფლად გამოყენების შესაძლებლობას. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ დადგენილება, ორგანიზაციის წევრთა და მესამე პირთა დაცვის მიზნით, რამდენიმე აუცილებელ მოთხოვნას ითვალისწინებს:

- როგორც წესი, ორგანიზაციის თითო წევრს თითო ხმა აქვს საერთო კრებაზე (მუხ. 17, ნაწ.1). სადამფუძნებლო ხელშეკრულებას შეუძლია განსაზღვროს ზოგიერთი წევრისთვის რამდენიმე ხმის მინიჭების უფლება, მაგრამ აქვე უნდა გამოირიცხოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც ერთ წევრს შეუძლია სხვათაგან დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება<sup>10</sup>;

- განსაზღვრული გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხმად. დადგენილების ეს მოთხოვნა იმპერატიულია და ხელშეკრულებით მისი შეცვლა დაუშვებელია. აღნიშნული გადაწყვეტილებები, ძირითადად, შეეხება წესდებაში ცვლილებათა შეტანას, EWIV-ის წევრთა მიღებისა და მათი გაერთიანებიდან გასვლის წესს და ა.შ;

- ზოგიერთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს ერთხმად იმ შემთხვევაშიც, როცა ამას პირდაპირ დადგენილება არ ითვალისწინებს, მაგრამ სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში პირდაპირაა მითითებული ამის შესახებ;

- ყველა სხვაგვარი ხელშეკრულება, როგორც წესი, ხმათა უბრალო უმრავლესობით მიიღება. სადამფუძნებლო ხელშეკრულებამ შეიძლება განსაზღვროს გადაწყვეტილებათა გარკვეული წრე, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს კვალიფიციური უმრავლესობის (წევრთა 2/3-ის) თანხმობით.

ევროკავშირის დადგენილების მიხედვით, EWIV-ს უნდა ჰყავდეს მინიმუმ ერთი დირექტორი ან მენეჯერი მაინც, რომელიც იქნება კომპანიის წარმომადგენელი საქმიან ურთიერთობებში. მას ევალბა აგრეთვე EWIV-ს საგარეო საქმეების წარმართვა<sup>11</sup>. რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს არსებობას, ის ფაკულტატიური მნიშვნელობისაა და მხოლოდ მაშინ იქნება საჭირო, თუ ამის შესახებ სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში პირდაპირ იქნება მითითებული.

EWIV გერმანიაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, თავისი იურიდიული ბუნებით ძალიან ჰგავს ღია სავაჭრო საზოგადოებას. ამიტომაც გერმანულმა კანონმდებლობამ პირდაპირ მიუთითა, რომ მისი შიდა ორგანიზაციული

9 Karsten Schmidt. Gesellschaftsrecht. 3. Aufl., Köln, Berlin, Bonn, München, 1997, S. 1904.

10 Barbara Grunewald. Gesellschaftsrecht. 4. Aufl. Tübingen, 2000, S. 168.

11 Herbert Wagner. Unternehmensrecht, Weinheim, 1997, S. 90.

7 Müller-Gugenberger. EWIV-Die neue europäische Gesellschaftsform. NJW 1989, 1456.

8 Karl Gleichmann. Europäische Wirtschaftliche Interessenvereinigung. ZHR 149, 1985, S. 640.



სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს იმ მოთხოვნებს, რაც წარვეყნება ღია სავაჭრო ორგანიზაციის (OHG-ს).

5) EWIV-ის გავრცელების მასშტაბი. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის მთელს ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი დაინტერესება EWIV-ის გამო. 1997 წლის თებერვალში რეგისტრირებული EWIV-ის რიცხვმა ევროკავშირის ტერიტორიაზე 741-ს მიაღწია, ხოლო მათში გაერთიანებულ წევრთა საერთო რიცხვმა - 1820-ს. ზრდის ყველაზე დიდი ციფრი 1991-1993 წლებში დაფიქსირდა და ამ დროისთვის მათში უკვე დაახლოებით 6000-7000 საწარმო იყო გაერთიანებული.

ყველაზე დიდი რაოდენობის EWIV-ები დაფიქსირებულია ბელგიასა და საფრანგეთში. შემდეგ მოდიან დიდი ბრიტანეთი და გერმანია<sup>12</sup>. ამ სფეროში ბელგიის მოწინავეობა განპირობებულია მისი დედაქალაქის - ბრიუსელის მნიშვნელობით. მას ევროპაში „ევროპის არაოფიციალურ დედაქალაქს“ („heimlichen europäischen Hauptstadt“) და ევროპის აქტიურობის ცენტრს უწოდებენ. რაც შეეხება საფრანგეთს, მის ტერიტორიაზე EWIV-ების სიმრავლე განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ჯერ კიდევ 1967 წელს მათ ჩამოაყალიბეს მსგავსი წარმონაქმნი - Groupe ment d'int'e'ret e'conomique (GIE), რომელიც EWIV-ს წინამორბედად ითვლება და, ამიტომაც, მისი პოპულარულობა აღნიშნულ ქვეყანაში ბუნებრივია.

EWIV-ები ძირითადად მომსახურების (ფინანსური მომსახურება, სადაზღვევო ბიზნესი და ა.შ.), ვაჭრობისა და ინდუსტრიის სფეროებში იქმნება. ამიტომაც მათ, რასაკვირველია, უფლება აქვთ განახორციელონ ინვესტირება ნებისმიერ სფეროში და, შესაბამისად, გახდნენ საინვესტიციო დავის სუბიექტები. ამიტომაც აუცილებელია გაირკვეს აღნიშნულ იურიდიულ პირთა პერსონალური სტატუსი და, შესაბამისად, საკითხი, თუ საინვესტიციო დავის დროს რომელი ქვეყნის იურისდიქციას უნდა დაექვემდებარდნენ.

6) EWIV-ის პერსონალური სტატუსი. EWIV-ის პერსონალური სტატუსის განსაზღვრა მეტად რთულია, ვინაიდან, იგი, როგორც მიუთითებენ, გარკვეულწილად ორმაგ სამართლებრივ დაქვემდებარებაშია. ერთი მხრივ, მას არეგულირებს ევროკავშირის დადგენილება, რომელსაც უშუალოდ მოქმედი სამართლის სტატუსი გააჩნია ევროკავშირის მთელს ტერიტორიაზე, მეორე მხრივ, თავად დადგენილება მიუთითებს, რომ EWIV-ის დეტალური სამართლებრივი რეგულირება უნდა მოახდინონ ევროკავშირის ქვეყნებმა თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის საშუალებით. სწორედ ეს ართულებს მისი პერსონალური სტატუსის განსაზღვრას, რადგან ევროპის ქვეყნებში არ არსებობს ერთიანი მიდგომა იურიდიულ პირთა პერსონალური სტატუსის განსაზღვრისას. ის ქვეყნები, რომლებიც მხარს უჭერენ „დაფუძნების თეორიას“ („Gründungstheorie“) - მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები - პერსონალურ სტატუსად მიიჩნევენ რეგისტრაციის ადგილის ქვეყნის სამართალს. ეს მაშინ, როცა „ადგილსამყოფლის თეორიის“ („Sitztheorie“) მომხრე სახელმწიფოები, - მა-

გალითად გერმანია, ავსტრია, ესპანეთი, პორტუგალია - პერსონალურ სტატუსად მიიჩნევენ იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მდებარეობის ადგილს. სწორედ ეს ართულებს EWIV-ის იურისდიქციის განსაზღვრას.

„ადგილსამყოფლის თეორიის“ სამშობლოს - გერმანიის დოქტრინა, რასაკვირველია, მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ საინვესტიციო დავისას იურისდიქცია განისაზღვროს იმ ქვეყნის სამართლით, რომლის ტერიტორიაზედაცაა განთავსებული EWIV-ის ადგილსამყოფელი. ამ დოქტრინის მიხედვით, ევროკავშირის დადგენილება არაპირდაპირ „ადგილსამყოფლის თეორიის“<sup>13</sup> სასარგებლოდ იხრება, რადგან მიუთითებს, რომ EWIV აუცილებლად უნდა გააჩნდეს ადგილსამყოფელი ევროკავშირის ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საინვესტიციო დავის განხილვის პროცესში იურისდიქციის განსაზღვრისას უნდა იქნეს გამოყენებული იმ ქვეყნის სამართალი, რომლის ტერიტორიაზეცაა განლაგებული მისი ადმინისტრაცია. ამასთან, დავის განმხილველმა ორგანომ - იქნება ეს სასამართლო თუ კერძო არბიტრაჟი - უნდა გაითვალისწინოს ევროკავშირის დადგენილების მოთხოვნები. იმ შემთხვევაში, თუ EWIV-ს ადმინისტრაციის ადგილსამყოფლის ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი კოლიზიაში მოვა ევროკავშირის დადგენილებასთან, სწორედ ამ უკანასკნელის მოთხოვნები (ნორმები) უნდა იქნას გამოყენებული.

ვფიქრობ, რომ აღნიშნული მოსაზრება სადავოა. ჯერ ერთი, თავად EWIV თავისი იურიდიული ბუნებით არ არის ერთი კონკრეტული ქვეყნის სამართლის შემოქმედების ნაყოფი, ამიტომაც ძირითადად ყურადღება უნდა მიექცეს თავად ევროკავშირის დადგენილებას EWIV-ის შექმნის შესახებ. მეორეც, ყურადღება ევროკავშირის დადგენილებაში მითითებული შემდეგი მოთხოვნა - გარდა იმისა, რომ EWIV-ის აუცილებლად უნდა ჰქონდეს ადმინისტრაცია ევროკავშირის ტერიტორიაზე, იგი აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრირებული ევროკავშირის რომელიმე წევრი - სახელმწიფოს სამეწარმეო რეესტრში. ასე რომ, დადგენილებას ერთგვარად ნეიტრალური პოზიცია უკავია და არ გამოიცხავს ორივე თეორიას „კომპლექსურად“ გამოყენებას იურისდიქციის განსაზღვრისას. ამიტომაც, ჩემი აზრით, EWIV-ის პერსონალური სტატუსის განსაზღვრა უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან იგი არ ექვემდებარება მხოლოდ რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს იურისდიქციას. მთავარია, რომ იგი რეგისტრირებული უნდა იყოს ევროკავშირის ტერიტორიაზე და აქვე გააჩნდეს ადგილსამყოფელი, ხოლო იურისდიქციის განსაზღვრისას გამოყენებულ იქნება ევროკავშირის (სუპრანაციონალური) სამართალი, რომელსაც უშუალოდ მოქმედ სამართლად ითვლება ევროკავშირის მთელს ტერიტორიაზე, პერსონალურ სტატუსს კი განსაზღვრავს კონკრეტული სახელმწიფო იმისდა მიხედვით, თუ რომელი დოქტრინის მომხრე იქნება - დაფუძნების თეორიისა (მაგ. დიდი ბრიტანეთი) თუ ადგილსამყოფლის თეორიისა (მაგ. გერმანია).

გვიან ბაბინსონი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის ასპირანტი, ევროკავშირის „TEMPUS“-ის სტიპენდიანტი.

12 Michael Daumke. Jürgen Keßler. Gesellschaftsrecht. 3. Aufl., München, Wien, 2000, S. 104.

13 J. von Staudingers Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch mit Einführungsgesetz und Nebengesetzen. EGBGB/MPR. Internationales Gesellschaftsrecht. Neubearb. Von Bernhard Großfeld, Berlin, 1998, S. 30-31, 161.



## თამარ ზამბახიძე

## ფასიანი ქაღალდები როგორც გირავნობის საბანი

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებამ განაპირობა ისეთი სამართლებრივი ურთიერთობების პრაქტიკაში დამკვიდრება, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების გირავნობა. სწორი არ იქნება თუ მივუთითებთ, რომ ფასიანი ქაღალდები, როგორც მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები, არის გირავნობის ყველაზე გავრცელებული სახე, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მათი გირავნობით დატვირთვის შემთხვევები სულ უფრო მატულობს. აღნიშნული ტენდენცია ყველაზე ნათლად საბანკო დაკრედიტების პრაქტიკის ანალიზისას ჩანს.

ფასიანი ქაღალდების დაგირავება სპეციფიკური ოპერაციაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალკე არ გამოყოფს მათი გირავნობის მომწესრიგებელ ნორმებს. გამონაკლისია მხოლოდ 255-ე მუხლი, რომლითაც კანონმდებელი ადგენს ფასიანი ქაღალდების დაგირავების წესს.

წინამდებარე წერილის მიზანია ფასიანი ქაღალდების, როგორც გირავნობის საგნის დახასიათება და შესაბამისი ხელშეკრულების სამართლებრივი პრობლემების ანალიზი. წერილში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა: ფასიანი ქაღალდების (როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული) ძირითადი სამართლებრივი ნიშნები, ფასიანი ქაღალდების დაგირავების წესი, აქციათა გირავნობის თავისებურებანი (აქციონერთა რეესტრში რეგისტრაციის აუცილებლობა), ვინკულირებული აქციების გირავნობა, ფასიანი ქაღალდების გირავნობის ხელშეკრულების პირობები, გირავნობის გავრცელება ფასიანი ქაღალდების ნაყოფზე (შემოსავალზე), ცვლილება გირავნობის საგანში (ფასიანი ქაღალდების კონსოლიდაცია, დანაწევრება, კონვერტირება, ფასიანი ქაღალდით განმტკიცებული მოთხოვნის შესრულება), ფასიანი ქაღალდების პაკეტების გირავნობა, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის თავისებურებანი, დაგირავებული ფასიანი ქაღალდების საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე სამართავად მინდობა.

წერილში თავმოყრილია ნორმატიული მასალა, რომელიც არეგულირებს ფასიანი ქაღალდების გირავნობის ურთიერთობებს, ატარებს ინფორმაციულ ხასიათს და ხელს შეუწყობს ამ სფეროში მომუშავე პირებს ფასიანი ქაღალდების გირავნობის კონსტრუქციების პრაქტიკულ გამოყენებაში.

კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ნივთი, ისე

არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ანუ სხეულებრივი, მატერიალური ნივთები და ე.წ. „უსხეულო ნივთები“. როგორც პროფ. ბ. ზოიძე არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დახასიათებისას მოუთითებს, „ამ შემთხვევაში თვით უფლება და მოთხოვნაა „ნივთი“, ხოლო ის მატერიალიზებული საგანი, რაშიაც ისინია გამოხატული, არ წარმოადგენს სხეულს“<sup>1</sup>. არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს ცივილურ ლიტერატურაში ზოგჯერ „უსხეულო ქონებას“ ან „იდეალურ“ ქონებრივ ობიექტსაც უწოდებენ.<sup>2</sup> სწორედ არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დამოუკიდებელი კატეგორიაა ფასიანი ქაღალდები.

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა ფასიანი ქაღალდების ერთიან ცნებას. მასში ცალ-ცალკე დაკონკრეტებული საწარმდგენლო, საორდერო და სახელობითი ფასიანი ქაღალდების დეფინიციები. რაც შეეხება საქართველოს კანონს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მისი მე-2 მუხლის 32-ე პუნქტში პირდაპირაა მითითებული, რომ ფასიანი ქაღალდი ეს არის მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესზო ფასიანი ქაღალდების სახით, ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად, ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ შექმნის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები. ფასიანი ქაღალდები შეიძლება არსებობდეს როგორც მატერიალიზებული, ანუ დოკუმენტური ფორმით, ისე არამატერიალიზებული (არადოკუმენტური) სახით. განსხვავებულია მათი დაგირავების წესი. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილად მიმაჩნია თითოეული მათგანის მოკლე მიმოხილვა და შედარება.

ფასიანი ქაღალდების ძირითადი სამართლებრივი ნიშნებია:

ფასიანი ქაღალდი არსებობს მტკიცე დოკუმენტის ფორმით, რომელიც სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. ეს

1 ბესარიონ ზოიძე, სანივთო სამართალი. თბ., „უფლება“, 1999, გვ.31.

2 Гражданское и торговое право капиталистических государств. /Под. ред. Е.А. Васильева. М., «Международные отношения». 1993. С. 198.



არის დოკუმენტალურად განმტკიცებული ქონებრივი ურთიერთობა. აქვე უნდა დავაზუსტოთ თავად ტერმინი „დოკუმენტის“ მნიშვნელობა. ფართო გაგებით იგი გულისხმობს ნებისმიერ წერილობით აქტს, რომელსაც აქვს გარკვეული იურიდიული ძალა და ოფიციალური ხასიათი. ნათელია, რომ არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიმართ, რომლებიც არ არსებობს ქაღალდის ფორმით (ბარათის ფორმით), მაგრამ არსებობს ჩანაწერის სახით ფასიანი ქაღალდების რეესტრში ან ცენტრალურ დეპოზიტარში ბენეფიციარი მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის სახელზე (საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ მუხ. 2, პუნქტი 33.), უფრო სწორი იქნება თუ ვისაუბრებთ არა დოკუმენტზე, არამედ მის მატერიალურ ამსახველზე, ანუ შესაბამისი ინფორმაციის მატარებელზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს მაგნიტური და ოპტიკური დისკების, დისკეტების, კომპიუტერის მეხსიერების სახით. არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების კვლევას არა ერთი ცივილიზაციის შრომა მიეძღვნა.<sup>3</sup>

ესა თუ ის დოკუმენტი ფასიან ქაღალდად რომ იქნეს აღიარებული, აუცილებელია მასში განმტკიცებული უფლებების დამოწმების დადგენილი ფორმის დაცვა. ამისათვის საჭიროა, რომ ფასიანი ქაღალდი შესაბამისი ნორმატიული აქტით იყოს ასეთად აღიარებული.

ფასიანი ქაღალდის იურიდიული მაჩვენებლების სისტემაში ერთ-ერთი მთავარი ელემენტია მასში სავალდებულო რეკვიზიტების არსებობა. ჩვეულებრივ, ეს არის ფასიანი ქაღალდის დასახელება, სერია, ნომერი, ემიტენტის დასახელება, მფლობელის სახელი, მისი ნომინალური ღირებულება და სხვა. ეს ნიშანი სრულად არის შენარჩუნებული არამატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებთან. ფასიანი ქაღალდის რეესტრი არის აღრიცხვათა სისტემა, „რომელსაც აწარმოებს ემიტენტი ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი და რომელშიც მოცემულია ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელებისა და მათ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, კლასი, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია“ (საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხ.2 პუნქტი 45). ამდენად, არადოკუმენტური ფასიანი ქაღალდების სავალდებულო რეკვიზიტები ასახულია შესაბამის რეესტრში.

ფასიანი ქაღალდი ეწოდება დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ემიტენტის და ფასიანი ქაღალდის მფლობელის ქონებრივ ურთიერთობას, განამტკიცებს შესაბამის უფლებებს, რომელთა რეალიზაცია დამოკიდებულია დოკუმენტის წარდგენაზე. ე.ი. ფასიანი ქაღალდი არის ყველა ის დოკუმენტი, რომელთანაც რაიმე უფლება ისეა დაკავშირებული, რომ ამ დოკუმენტის გარეშე არ შეიძლება მისი

განხორციელება, მისი სხვა პირისათვის გადაცემა. ამდენად, ფასიანი ქაღალდით განმტკიცებული ურთიერთობის დროს „ქაღალდი“ გვევლინება როგორც უფლების მატარებელი.<sup>4</sup> ფასიანი ქაღალდის ნიშანი, რომ მასში ასახული უფლების განხორციელება თავად დოკუმენტის წარდგენით უნდა მოხდეს, არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიმართ გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის. ამ დროს ბრუნვაშია არა მისი მატერიალური მატარებელი (რეესტრი), არამედ ინფორმაცია უფლებაზე, რომლის ნამდვილობის და უტყუარობის დადასტურებაც შესაძლებელია რეესტრიდან შესაბამისი ამონაწერის გაკეთებით.<sup>5</sup>

ფასიან ქაღალდებზე საუბრისას ცალკე უნდა გამოიყოს ვარანტი. ვარანტი საგირავნო მოწმობაა, რომლის მესამე პირზე გადაცემით მიმბარებელს საშუალება ეძლევა, საწყობში მიმბარებული საქონელი დააგირავოს სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად ისე, რომ საქონელი საწყობიდან არ იყოს გატანილი.<sup>6</sup> ამდენად, ვარანტი არის საქონელ-განმკარგავი დოკუმენტი და მის საფუძველზე განხორციელებლი ვირავნობა მოიცავს საწყობში მიმბარებულ საქონელს.

საბანკო დაკრედიტების ურთიერთობებში სხვა ფასიანი ქაღალდების გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს თამასუქები. როგორც ცნობილია, თამასუქი არის სავალო ფასიანი ქაღალდი, ანუ დოკუმენტი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირს ავალბეს მის გადახდას. თამასუქის გირავნობით, როგორც წესი, ბანკი ვაცემს კრედიტს არა მისი სრული თანხის ოდენობით, არამედ მისი ნომინალური ღირებულების 60-90%-ის ოდენობით.

საქართველოში კომერციული ბანკების პრაქტიკის ანალიზი მოწმობს, რომ ფასიანი ქაღალდებიდან გირავნობის ყველაზე გავრცელებული საგანია აქციები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქცია არის კაპიტალდაბანდების მეტად სარისკო სახე, რადგან მისი საინვესტიციო მაჩვენებლები დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს, კურსი შეიძლება დაეცეს, დივიდენდები კი არ იქნეს გადახდილი. როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51.1. მუხლშია მითითებული, — „აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში“.

2. როგორც წინამდებარე წერილის დასაწყისში იყო აღნიშნული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 255-ე მუხლი შეიცავს ფასიანი ქაღალდების დაგირავების წესს. აქ კანონი პირველ რიგში ინდოსირებად ფასიან ქაღალდებს ასახელებს. ეს იმით აიხსნება, რომ ამ ტიპის ფასიან ქაღალდებზე საკუთრების გადაცემას თავისებურება ახასიათებს. კერძოდ, ასეთი ფასიანი ქაღალდების მეორე მხ-

3. დაწვრილებით იხ.: Белов В. Юридическая природа бездокументарных ценных бумаг и безналичных денежных средств. // Рынок ценных бумаг. 1997. №5; Демушкина Е. Безналичные ценные бумаги — фикция или реальность? // Рынок ценных бумаг. 1996. №18; Мурзин Д. Ценные бумаги — бестелесные вещи. М., «Статут». 1998; Юлдабашева Л. Правовая природа бездокументарных бумаг. // Хозяйство и право. 1997. №10.

4. Агарков М.М. Основы банковского права. Учение о ценных бумагах. М., БЕК. 1994. С.177.

5. დაწვრილებით იხ.: Добрынина Л. Понятие и признаки бездокументарных ценных бумаг. // Хозяйство и право. 1999. №6. С.52.

6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეოთხე, ტომი მეორე. თბ., გამოც. „სამართალი“. 2001. გვ.92.



არეზე აღინიშნება ყოველი ახალი შემქმნის ვინაობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ გირავდება სახელობითი აქცია ან სახელობითი ობლიგაცია, აუცილებელია ინდოსირება, ე.ი. ამ ქაღალდზე მოგირავნის აღნიშვნა.<sup>7</sup>

ამრიგად, კანონმდებელი ფასიანი ქაღალდების დაგირავების წესს უთანაბრებს მათ გასხვისებას. ფასიანი ქაღალდში განმტკიცებული უფლების ფიქსაციის და მისი გადაცემის წესის მიხედვით გამოყოფენ შემდეგ სახეებს: საწარმდგენლო, საორდერო და პირად (სახელობით) ფასიანი ქაღალდებს. ვფიქრობ, წინამდებარე წერილში სასურველია თითოეული მათგანის დაგირავების მექანიზმის ცალ-ცალკე განხილვა.

საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდში განმტკიცებული უფლების გადაცემა სირთულეს არ წარმოადგენს, რადგან უფლება თვით დოკუმენტის გადაცემით გადადის. ე.ი. ასეთი სახის ფასიანი ქაღალდების გირავნობისას უნდა განხორციელდეს მათი გადაცემა მოგირავნისათვის.

რაც შეეხება საორდერო ფასიანი ქაღალდებს, ისინი ფორმდება განსაზღვრული პირის სახელზე, რომელიც უფლებამოსილია აღნიშნული უფლება განხორციელოს თავად ან გადასცეს იგი სხვას ინდოსამენტის საშუალებით. რადგან ასეთ შემთხვევაში თავიდანვე ნაგულისხმევია მოთხოვნის სხვა პირისათვის გადაცემის შესაძლებლობა, გადასაცემი ბრძანების შედგენა არაა ფორმალურად გართულებული — საკმარისია გადასაცემი წარწერის, ანუ ინდოსამენტის შესრულება (იტ. in disso — უკანა მხარეს) თვით ფასიანი ქაღალდზე<sup>8</sup> ამდენად, ინდოსირებადი ფასიანი ქაღალდის გირავნობა განხორციელდება ინდოსირების გზით, ანუ ბარათის მეორე მხარეს გაკეთებული წარწერით, რომელიც ადასტურებს ფასიანი ქაღალდის ყველა ახალი მფლობელის ვინაობას.

სახელობითი (პირადი) ფასიანი ქაღალდი ყოველთვის შედგენილია განსაზღვრული პირის სახელზე, მასზე საკუთრების უფლების გადაცემა კი ხდება სამოქალაქო-სამართლებრივი ცესიის საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი სახის ფასიანი ქაღალდისათვის კანონი შეიძლება ადგენდეს გასხვისების გაიოლებულ ფორმას ინდოსამენტის სახით. ასეთი შეღავათები ძირითადად მოცემულია გერმანიისა და შვეიცარიის კანონმდებლობაში.<sup>9</sup> აქვე მივუთითებ, რომ საქართველოში გასხვისების გაიოლებული ფორმა დაწესებული სახელობითი აქციებისათვის მეწარმეთა შესახებ კანონის 52-ე მუხლით. მის პირველ პუნქტში პირდაპირაა მითითებული, რომ სახელობითი აქციები შეიძლება გადაცემულ იქნენ სააქციო ბარათზე ინდოსამენტის მეშვეობით, რაც სახელობით ფასიანი ქაღალდზე საორდერო ფასიანი ქაღალდის გასხვისების რეჟიმის გავრცელებას ნიშნავს.

აღსანიშნავია, რომ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების ემისია დაშვებულია არა ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობით. რაც უფრო მაღალია საფონდო ბაზარზე საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების წილი, მით უფრო

დიდია საფინანსო თაღლითობის ალბათობა. ალბათ, სწორედ ამ პრობლემატიკამ გამოიწვია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რის შედეგადაც კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „სააქციო საზოგადოება გასცემს ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებს მხოლოდ სახელობითი ფორმით.“

რაც შეეხება არამატერიალიზებულ ფასიანი ქაღალდებს, მათი მინდობაც სწორედ მოთხოვნის დათმობის გზით (ცესიით) განხორციელდება.

ფასიანი ქაღალდების დასაგირავებლად საჭიროა არა მხოლოდ მათი გასხვისების წესის შესაბამისი პროცედურის განხორციელება (საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის მოგირავნისათვის გადაცემა, საორდერო ფასიანი ქაღალდზე ინდოსამენტის გაკეთება, სახელობით ფასიანი ქაღალდზე, ასევე არამატერიალიზებულ ფასიანი ქაღალდზე ცესიის გაფორმება), არამედ გირავნობის ხელშეკრულების ცალკე გაფორმებაც. მაგალითად, თამასუქის დაგირავება შეიძლება მოხდეს საგირავნო ინდოსამენტის მეშვეობით, მაგრამ თამასუქზე გირავნობის უფლების წარმოშობისათვის საგირავნო მოწმობის სკრიპტურული აქტი არ არის საკმარისი. ინდოსამენტის გარდა აუცილებელია გირავნობის ხელშეკრულების ცალკე გაფორმება და თამასუქის გადაცემა მოგირავნისათვის.<sup>10</sup> ამდენად, საგირავნო ინდოსამენტი და გირავნობის ხელშეკრულება არის დამოუკიდებელი ელემენტები იმ ფაქტობრივი შემადგენლობისა, რომლის საფუძველზეც წარმოიშობა თამასუქზე გირავნობის უფლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცივილურ ლიტერატურაში გამოყოფენ ინდოსამენტის ორ სახეს: დიას (როდესაც ინდოსამენტში პირდაპირ არის დათქმა იმის შესახებ, რომ თამასუქის ინდოსირება ხდება მისი დაგირავების მიზნით) და დასურულს (როდესაც ინდოსანტს და ინდოსატს შორის არის შეთანხმება თამასუქის გირავნობის შესახებ, მაგრამ თამასუქზე გაკეთებულ ინდოსამენტში არ არის დათქმა გირავნობის შესახებ).<sup>11</sup>

3. როგორც აღინიშნა, ფასიანი ქაღალდებიდან გირავნობის ყველაზე გავრცელებული საგანია აქციები, ამიტომ აუცილებელია მათი გირავნობის თავისებურებების განხილვა.

აქციების დაგირავებისათვის სხვა პირობებთან ერთად აუცილებელია შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება აქციონერთა რეესტრში. აქ საუბარია არა სახელმწიფო რეგისტრაციაზე (მაგ., იპოთეკის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში), არამედ ინფორმაციის შეტანაზე სპეციალურ რეესტრში. აქციონ-

10 Rehfeldt B. Züßner W. Wertpapierrecht: ein Studienbuch. 12 Aufl. München, 1978. S. 84; Richardi; R. Wertpapierrecht: Ein Lehrbuch. Heidelberg, 1987. S. 152; Baumbach A. Hefermehl W. Wechselgesetz und Scheckgesetz mit Nebengesetzen und einer Einführung in das Wertpapierrecht. 19 Aufl. München, 1955 S. 268, 269; Крашениников Е.А. О залоговом индоссаменте / Теоретические проблемы правового регулирования хозяйственной деятельности в условиях рыночных отношений. Минск, 1998. С. 232.

11 Ulmer E. Das Recht der Wertpapiere. Stuttgart und Berlin, 1938. S. 225; Gursky K.H. Wertpapierrecht. Heidelberg. 1989. S 85, 86; Bylow P. Wechselgesetz. Scheckgesetz. Allgemeine Geschäftsbedingungen. 2 Aufl. Heidelberg. 1995 S. 223.

7 ლადო ჭანტურია, საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, თბ., 1999, გვ.16.

8 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეოთხე. ტომი II. თბ., გამომც. „სამართალი“, 2001, გვ. 252.

9 Гражданское и торговое право капиталистических государств / Под. ред. Е.А. Васильева. С. 207.



ერთა რეესტრის მწარმოებელი სუბიექტები განსაზღვრა საქართველოს კანონმა „მეწარმეთა შესახებ“. კერძოდ, საქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობაც 100-ზე მეტია, ვალდებულია აქციონერთა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ აქციონერთა რაოდენობა არ აღემატება 100-ს, მას შეუძლია სურვილისამებრ აწარმოოს რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით (მუხ. 51.3). ამდენად, იმ საწარმოთა აქციების გადაცემა, რომლის რეესტრაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი, ხდება შესაბამისი რეესტრის წარმოების წესების შესაბამისად, ხოლო სხვა შემთხვევებში აქციების გადაცემა ხორციელდება საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილებების შეტანით, რომელსაც ამოწმებს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, აქციის სერტიფიკატზე ფორმდება ინდოსამენტი. აქვე მიუთითებ, რომ აღნიშნული ურთიერთობები საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის მიერ აქციათა რეესტრის წარმოების წესების მიღებამდე რეგულირდება საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 ივნისის № 375 ბრძანებულებით „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ დროებითი დებულების თაობაზე“.

როგორც ცნობილია, გირავნობა უთანაბრდება გასხვისებას, რადგან მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობას მოჰყვება ქონების რეალიზაცია და კრედიტორის დაკმაყოფილება. სწორედ ამიტომ, მოგირავნე ფასიანი ქაღალდების გირავნობის ხელშეკრულების დადებისას უნდა დარწმუნდეს, რომ დასაგირავნებელი ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს კონტრაქტის საკუთრებას. ამისათვის მოგირავნემ დამგირავნებელს უნდა მოსთხოვოს ამონაწერი რეესტრიდან. მაგალითად, რეგისტრირებული პირის თხოვნის შესაბამისად, რეგისტრატორი ვალდებულია დადასტუროს მისი უფლებები აქციებზე რეესტრიდან ამონაწერის გაცემის გზით. აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ დროებითი დებულების VIII თავში მოცემულია ის სავალდებულო რეკვიზიტები, რომლებიც უნდა აღინიშნოს რეესტრიდან ამონაწერზე: ა) რომ ის არ არის ფასიანი ქაღალდი და მხოლოდ ადასტურებს, რომ ამონაწერში ხსენებული პირი არის ამონაწერში აღნიშნული აქციების მფლობელი გარკვეული თარიღისათვის; ბ) რომ აქციების გაცემისა და ახალი მფლობელის რეგისტრაციისათვის სავალდებულოა წარედგინოს რეგისტრატორს შესაბამისად შედგენილი დოკუმენტი, მათ შორის რეგისტრირებული პირის ან მისი სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი გადასაცემი განკარგულება და ა.შ.

აქციათა გირავნობის სამართლებრივ ურთიერთობებზე საუბრისას არ შეიძლება ცალკე არ გამოიყოს ისეთი თავისებურება, როგორიცაა ოპერაციების ბლოკირება. დამოუკიდებელ რეგისტრატორთან რეგისტრირებულ პირთა პიროვნული ანგარიშების ბლოკირება არის ოპერაცია, რომელსაც ასრულებს რეგისტრატორი და გათვალისწინებულია აქციების გადაცემის ოპერაციების ასაცილებლად განსაზღვრული ვადით ან რაიმე სპეციფიკური მოვლენის შემთხვევაში. სუბიექტები, რომელთა განკარგულებითაც უნდა მოხდეს ბლოკირება, არიან რეგისტრირებული პირი, სასამართლო, მოგირავნე და კანონით განსაზღვრული სხვა სუბიექტები. ამდენად, ოპერაციების ბლოკირების ერთ-ერთი

სამართლებრივი საფუძველია აქციების გირავნობა. რაც შეეხება ბლოკირების შეწყვეტას, მისი განხორციელება შესაძლებელია იმ პირის განკარგულების საფუძველზე, ვისი განკარგულებითაც მოხდა ბლოკირება ან ვინც, კანონის თანახმად, უფლებამოსილია, რომ გააუქმოს ბლოკირება. ოპერაციების ბლოკირების მექანიზმი წარმოადგენს მოგირავნის ინტერესების დაცვის საუკეთესო საშუალებას.

4. მეტად საინტერესოა ისეთი აქციების დაგირავების წესის მოკლედ მიმოხილვა, რომლებზეც სერტიფიკატი გაცემული არ არის (საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხ. 51.4). როგორც ცნობილია, ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი ნიშანია მათი გაიოლებული ბრუნვის უნარი. აქციები, რომლებზეც სერტიფიკატი გაცემული არ არის, გვევლინება აქციათა ერთადერთ სახედ, რომლებზეც მოქმედებს გასხვისების გართულებული მექანიზმი. კერძოდ, შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის გარდა დამატებით საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „სერტიფიკატი“ უზუსტოა. კანონმდებელი მას ხმარობს აქციის ბარათის სინონიმად, რაც სწორი არ არის. ფასიანი ქაღალდის სერტიფიკატი (ინგლ. certificate of issue stock) არის დოკუმენტი, რომელსაც უშვებს ემიტენტი და რომელიც ადასტურებს უფლებას სერტიფიკატში მითითებულ ფასიანი ქაღალდების გარკვეულ რაოდენობაზე. სწორედ ისეთ შემთხვევებში, როცა აქციები გაცემულია არა ბარათების, არამედ წილის მოწმობების, სერტიფიკატების სახით, რომლებიც განამტკიცებს აქციათა გარკვეულ რაოდენობას, საჭიროა მათი გირავნობის ხელშეკრულების სანოტარო წესით გაფორმება. ნიშანდობლივია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონში თავდაპირველად ტერმინები აღრუული არ იყო. ეს მოხდა უკვე მოგვიანებით, ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საფუძველზე. კომერციული იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალში პარტნიორის (აქციონერის) წილთან (აქციასთან) დაკავშირებული გარიგებების სანოტარო წესით გაფორმების წესს ადგენს ინსტრუქცია სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 29 აგვისტოს № 321 ბრძანებით). ინსტრუქცია დაწვრილებით განსაზღვრავს იმ დოკუმენტაციას, რომლებიც უნდა გამოითხოვოს ნოტარიუსმა შესაბამისი გარიგებების გაფორმებისას და ადგენს მის ვალდებულებებს.

5. რომელიმე კლასის აქციათა გადაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოების თანხმობაზე (საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხ. 52.3) როგორც ცნობილია, ასეთი აქციები იწოდება ვინკულირებულ აქციებად. ისინი, როგორც წესი, საკონცერნო საწარმოებში გამოიყენება და მიზნად ისახავს აქციათა საკონტროლო პაკეტის უცხო პირებზე გადასვლის თავიდან აცილებას.<sup>12</sup> აღნიშნული თანხმობის აუცილებლობის შესახებ უნდა აღინიშნოს საზოგადოების წესდებაში და აქციათა სერტიფიკატზე თუ, რა თქმა უნდა, აქცია დოკუმენტური ფორმით არსებობს. იქიდან გამომდინარე, რომ გირავნობა

12 lado Wanturia, Tedo niniZe, mewarmeTa Sesaxeб kanonis komentarebi. meore gamocema. Tbilisi, 1998. gv. 319.



უთანაბრდება გასხვისებას და ფასიანი ქაღალდების დაგირავებისას გამოყენებული უნდა იქნეს მათი გასხვისების წესი, ვინკულირებული აქციების დასაგირავებლად აუცილებელია შესაბამისი სააქციო საზოგადოების ღირებულების თანხმობა, რომელიც მან უნდა გასცეს სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით.

6. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც წესი, გირავნობას სანოტარო წესით დამოწმება არ სჭირდება, სამოქალაქო კოდექსი მხარეებს აძლევს იმის უფლებას, რომ გირავნობა სანოტარო წესით გააფორმონ. ამდენად, თუ მოგირავნეს და დამგირავებელს სურთ, მათ შეუძლიათ ფასიანი ქაღალდების გირავნობის ხელშეკრულება გააფორმონ სანოტარო წესით და შემდეგ რეგისტრაციაში გაატარონ საჯარო რეესტრში. ამასთან, კანონი იმპერატიულ მოთხოვნებს უყენებს ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ გირავნობის დოკუმენტებს: ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს დამგირავებლის, შესაძლო მესამე მოვალის, მოგირავნის ვინაობა, აგრეთვე უზრუნველყოფილი მოთხოვნის მოცულობა, სარგებელი და დაქმყოფილების ვადა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 255, მეორე ნაწილი).

იქიდან გამომდინარე, რომ არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდები გირავნობის მეტად სფეციფიკური საგანია, მათი დაგირავება უნდა მოხდეს სწორად შედგენილი დოკუმენტის საფუძველზე. ზოგი მეცნიერი ცდილობს თეორიულად ჩამოაყალიბოს და დაასაბუთოს ის პირობები, რომელთა გათვალისწინება საჭიროა ასეთი ხელშეკრულების გაფორმებისას. მაგალითად, ცივილისტი ა.ა. მაკოვსკაია აყალიბებს შემდეგ რეკომენდაციებს: არადოკუმენტური ფასიანი ქაღალდების გირავნობის ფიქსაციისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის გაფორმება და ხელმოწერა უნდა მოხდეს თავად გირავნობის ხელშეკრულების ხელის მოწერასთან ერთად; ხელშეკრულებაში ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ გირავნობის ფიქსაციისათვის საჭირო რა ვალდებულება ეკისრება თითოეულ მხარეს; უნდა მიეთითოს ზუსტი ვადა, რომლის განმავლობაშიც მხარეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი ვალდებულება გირავნობის ფიქსაციისათვის და გაითვალისწინონ საპეციალური წესები ამ ვალდებულებების მითითებულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას პასუხისმგებლობაზე; გარდა ამისა, ხელშეკრულებაში, რომელიც ადგენს ძირითად ვალდებულებას, რომლის უზრუნველყოფაც ხდება არადოკუმენტური ფასიანი ქაღალდების გირავნობით, უნდა მიეთითოს პირობა, რომ ასეთი ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაფიქსირებული იქნება გირავნობა.<sup>13</sup>

7. ფასიანი ქაღალდების გირავნობაზე საუბრისას უნდა განისაზღვროს, ვრცელდება თუ არა გირავნობა ფასიანი ქაღალდების ნაყოფზე. როგორც ცნობილია, ნაყოფი — ესაა სამეურნეო შემოსავლები, რასაც ნვითი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე იძლევა თავისი დანიშნულებით პირდაპირ (ბუნებრივი ნაყოფი) ან არაპირდაპირ, სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე (სამოქალაქო, იურიდიული ნაყოფი).<sup>14</sup> გირავნობა ვრცელდება ყველა ქონებრივ ფასიულობაზე, რომლებსაც მოიცავს საკუთრებაში

მყოფი გირავნობის საგანი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 260), ანუ მოგირავნე უფლებამოსილია თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს როგორც დაგირავებული არამატერიალური ქონებრივი სიკეთის (მაგ., აქცია), ისე მისი ნაყოფის (მაგ., დივიდენდი) ხარჯზე.

8. ფასიანი ქაღალდი არის ქონების ისეთი სახე, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს, ამასთან, თავად დამგირავებლის ნებისაგან დამოუკიდებლად.<sup>15</sup> აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვაგვარად. მაგალითად: 1. როდესაც იცვლება (იზრდება ან მცირდება) ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება. ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს საწესდებო კაპიტალის ცვლილებებთან ან აქციათა კონსოლიდაციასთან, დანაწევრებასთან; 2. როდესაც ერთი სახის ფასიანი ქაღალდი მისი გამოშვების და ბრუნვის პირობების გათვალისწინებით კონვერტირდება სხვა სახის ფასიანი ქაღალდში: კონვერსიული სესხის ობლიგაცია გარდაიქმნება აქციად, პრივილეგირებული აქცია — ჩვეულებრივად; 3. როდესაც ფასიანი ქაღალდით განმტკიცებული მოთხოვნა სრულდება და იგი იცვლება სხვა ქონებით, მაგალითად, ფულადი სახსრებით. ყველა მითითებულ შემთხვევაში ხდება ერთი სახის საგნის შეცვლა მეორეთი. ამდენად, აუცილებელია განისაზღვროს ასეთი ცვლილების სამართლებრივი შედეგები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დაწვრილებით არეგულირებს დაგირავებული მოთხოვნის შესრულებით სუროგაციის ურთიერთობებს, ანუ მესამე შემთხვევას, როცა შესრულება იკავებს მოთხოვნის ადგილს (მუხ. 256).

რაც შეეხება აქციათა კონსოლიდაციას, დანაწევრებას ან ერთი სახის ფასიანი ქაღალდის კონვერტირებას მეორეთი, სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს აღნიშნული საკითხების რეგლამენტაციას, მაგრამ სავარაუდოა, რომ ისინი წარმოადგენს სუროგაციის სპეციალურ შემთხვევებს. ამდენად, ასეთ დროს გირავნობის ერთი საგანი შეიცვლება მეორეთი.

გირავნობის საგნის გარდა, ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს მისი შეფასებაც. რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გირაოს (ფასიანი ქაღალდი) შეფასების განმსაზღვრელ ნორმებს, იგი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეფასებულ იქნეს მისი ნომინალური, საბაზრო ან საბალანსო ღირებულების მიხედვით. ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა მისი საემისიო ფასი. ნიშანდობლივია, რომ მთელ რიგ ქვეყნებში ნომინალური ღირებულება გააჩნია, მაგალითად, მხოლოდ პრივილეგირებულ აქციებს. აქციები ნომინალის გარეშე განსაკუთრებით გავრცელებულია აშშ-ში.<sup>16</sup>

ფასიანი ქაღალდები არის საფინანსო ბაზრის ცვალებადი სექტორი, ამიტომ მათი ღირებულება გირავნობის ვადაში შეიძლება ბევრჯერ შეიცვალოს. ამასთან, ეს არ მოქმედებს ხელშეკრულების პირობებზე და მხარეთა უფლებებზე, მოვალეობებზე. მოგირავნეები ფასიანი ქაღალდების გაუფასურების თავიდან აცილების მიზნით ხშირად ითვალისწინებენ ხელშეკრულებაში პირობას, რომლის თანახმადაც მათ ენიჭებათ უფლება ფასიანი ქაღალდების ღირე-

13 Маковская А.А. Залог денег и ценных бумаг. — М., Статут. 2000. С.110 — 111.

14 besariaon zoiZe, miTiTebuli naSromi. gv. 33.

15 Мельникова Е. Ценные бумаги как предмет залога. // Экономика и жизнь. 2001. № 27. С. 17.

16 Каратуев А.Г. Ценные бумаги. М., 1997. С. 38.



ბულების მნიშვნელოვნად შემცირების მომენტში დამგირაველისაგან დამატებით მოითხოვონ უზრუნველყოფის სახით სხვა ფასიანი ქალაქები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გირაონობა ყოველთვის ატარებს აქცესორულ ხასიათს და თუ ძირითადი ვალდებულება თანმიმდევრულად სრულდება (მაგ., კრედიტით სარგებლობის პროცენტები დროულად არის გადახდილი), მაგრამ ეცემა დაგირავებული ფასიანი ქალაქების ფასი, მოგირავენს არ შეუძლია დამგირაველისაგან მოითხოვოს ძირითადი ვალდებულების ვადაზე შესრულება და დაგირავებულ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა.

9. პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, როდესაც გირაოდ გვევლინება არა ცალკეული ფასიანი ქალაქები, არამედ მათი პაკეტი. მიუხედავად ერთიანობისა, ასეთი პაკეტის შემადგენელი თითოეული ფასიანი ქალაქი ითვლება გირაონობის დამოუკიდებელ საგნად. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: ვალდებულება მოგირავენ თავისი მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის გადახდევინება მიაქციოს ფასიანი ქალაქების მთელ პაკეტზე და განხორციელოს მისი მთლიანად რეალიზაცია, თუ შეუძლია პაკეტის ნაწილის, ანუ ფასიანი ქალაქების იმ რაოდენობის რეალიზაცია, რომელიც საკმარისია მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გაიმიჯნოს ორი სიტუაცია: ერთი მხრივ, როდესაც მოგირავენმ ზუსტად იცის გირაონობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის სიდიდე და თანხა, რომელიც მან შეიძლება მიიღოს ფასიანი ქალაქების რეალიზაციის შედეგად, მეორე მხრივ, როცა დაგირავებული ფასიანი ქალაქების რეალიზაციის მომენტში მოგირავენმ დაზუსტებით არ იცის არც გირაონობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის სიდიდე და არც თანხა, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს ფასიანი ქალაქების რეალიზაციის შედეგად.<sup>17</sup> ნათელია, რომ პირველი სიტუაცია არ საჭიროებს სპეციალურ კომენტარებს, რადგან თუ წინასწარ ზუსტად შეიძლება იმის განსაზღვრა, რა რაოდენობის ფასიანი ქალაქების რეალიზაციაა საჭირო, სწორედ ამ რაოდენობის გაყიდვა განხორციელდება და კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად შეიძლება ფასიანი ქალაქები მოგირავენს დაუბრუნდება. რაც შეეხება მეორე შემთხვევას, მოგირავენმ შესაძლო დანაკარგების აცილების მიზნით შესაძლოა განხორციელოს იმაზე მეტი ფასიანი ქალაქების რეალიზაცია, ვიდრე მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო. ასეთ დროს მოგირავენ უნდა შეეცადოს, რომ რაც შეიძლება ზუსტად განსაზღვროს სარეალიზაციო ფასიანი ქალაქების საშუალო რაოდენობა, რათა მისი ქმედება არ ჩაითვალოს უფლების ბოროტად გამოყენებად.

10. გირაონობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, თუ მოვალე ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, დადგება გირაოს რეალიზაციის აუცილებლობა. საქართვე-

ლოს სამოქალაქო კოდექსის 278-ე მუხლის თანახმად რეალიზაცია გირაოს გაყიდვის გზით უნდა განხორციელდეს აუქციონზე. ამასთან, თუ გირაოს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მოგირავენს შეუძლია, საგნის გაყიდვა სპეციალურ სავაჭრო დაწესებულებას მიანდოს. კანონმდებელი მესაკუთრეს და მოგირავენს ანიჭებს უფლებას, შეთანხმდნენ გირაოს გაყიდვის სხვა წესზე (მუხ.280). იქიდან გამომდინარე, რომ ფასიანი ქალაქები არის საფონდო ბაზრის ფინანსური ინსტრუმენტები და გირაოს სპეციფიკური სახე, მთელს მსოფლიოში მათი რეალიზაცია ყველაზე გავრცელებულია საფონდო ბირჟებზე, ანუ ფასიანი ქალაქების ორგანიზებულ ბაზარზე. საქართველოში საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქალაქების რეალიზაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“.

11. ფასიანი ქალაქების გირაონობაზე საუბრისას უნდა განისაზღვროს – შეიძლება თუ არა დაგირავებული ქონების სამართავად გადაცემა, ანუ საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე მინდობა მინდობილი მესაკუთრისათვის, რომელიც ფასიანი ქალაქების მართვას განხორციელებს საკუთრების მინდობის ინტერესების შესაბამისად. ვფიქრობ, ეს დასაშვებია, რადგან აღნიშნული კონსტრუქციის დროს დამგირავებული რჩება ქონების მესაკუთრედ და აქვს საკუთრების მინდობის უფლებამოსილება. უფრო მეტიც, ასეთი ქონების პროფესიონალისათვის სამართავად გადაცემა შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს მისი გამოყენების ეფექტიანობა და დაეხმაროს დამგირავებულს (მესაკუთრეს) დროულად შეასრულოს ვალდებულება კრედიტორის (მოგირავენის) წინაშე.<sup>18</sup>

\*\*\*

ფასიანი ქალაქები განვითარებული და სტაბილური ბაზრის პირობებში არის კაპიტალის ნაწილი, რომელიც ფულის შემდეგ რიგით მეორეა ლიკვიდურობის მიხედვით და შესაბამისად, წარმოადგენს გირაოს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეს.

საქართველოში არსებული ეკონომიკური სიტუაციის, განვითარებული ფასიანი ქალაქების ბაზრის უქონლობის, ინფლაციური პროცესების მხედველობაში მიღებით, კომერციული ბანკები თავს იკავებენ ფასიანი ქალაქების გირაონობით გრძელვადიანი კრედიტების გაცემისაგან. გარდა ამისა, მათ არა აქვთ ამ მიზნებისათვის საჭირო რაოდენობის ფულადი რესურსები. სწორედ ამიტომ, თანამედროვე პირობებში კომერციული ბანკები ახორციელებენ ფასიანი ქალაქების გირაონობით მხოლოდ მოკლევადიან დაკრედიტებას. სავარაუდოა, რომ ფასიანი ქალაქების ბაზრის და მისი ინფრასტრუქტურის სრულყოფის პირობებში ფართო გავრცელებას პოვნებს ამ სახის გრძელვადიანი ურთიერთობებიც.

თამარ გამბახიძე,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

17 Шикова Е., Залог ценных бумаг: рекомендации к практике применения, "Хозяйство и право", 2001, №7. С. 96.

18 Суханов А.Е. Договор доверительного управления имуществом, "Вестник Высшего Арбитражного Суда РФ", 2000, №1, С. 86.